

საკანონმდებლო წინადადება არასრულწლოვნის სავალდებულო აუდიოვიდეო გამოკითხვის შესახებ მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვის მიზნით

პრობლემის არსი

არასრულწლოვანთა არამართლმომიერი ზემოქმედებისგან დაცვის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში არ პასუხობს საუკეთესო ევროპულ სტანდარტებს. სულ ახლახანს მომხდარმა არასრულწლოვანი ლ. ს.-ის თვითმკვლელობის შემზარავმა ფაქტმა ნათლად დაადასტურა, რომ ბავშვი არ არის დაცული სახელმწიფოს თვითნებობისგან; ბავშვების შემხებლობა პოლიციასთან არაერთ შემთხვევაში სრულდება მათ მიმართ ფაგალური შედეგებით; საზოგადოებაში მყარია მოლოდინი, რომ პოლიციის შემხებლობა ბავშვთან ავტომატურად დაკავშირებულია ბავშვის იძულებასთან, ფსიქოლოგიურ ზეწოლასთან, შანტაჟსა და მუქარასთან. დამკვიდრებული პრაქტიკის ფონზე ნაკლებია განცდა, რომ პოლიციელს და ბავშვს შორის ურთიერთობა დაფუძნებულია ნდობასა და კეთილსინდისიერ თანამშრომლობაზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვასა და მის მიმართ მეგობრულ განწყობაზე.

ერთი მხრივ ბავშვზე მორგებული სამართლებრივი გარემოს შესაქმნელად საქართველოს კანონმდებლობაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და 2015 წელს შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; მეორე მხრივ, ბავშვთა მიმართ სამართალდამცავი სისტემის მგრული დამოკიდებულება სისტემურ ღონებე მაინც არ აღმოფხვრილა. შექმნილი გარემოება კი მიუთითებს კიდევ ერთხელ იმაზე, რომ ცვლილებები კვლავ საჭიროა, მანამ სანამ თავად სისტემა არ აღმოფხვრის თვითნებობის ნებისმიერი ფორმით განხორციელების შესაძლებლობას.

უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიზანიც იქნება ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისგან. ცვლილების ეფექტიანი განხორციელება უნდა მოხდეს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების თანამშრომლობით: უნდა მოიძებნოს პოლიტიკური ნება და ფინანსური რესურსი, რომელიც აუცილებელია საიმისოდ, რომ ბავშვთან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ურთიერთობა დარეგულირდეს საუკეთესო პრაქტიკისა და ბოლო პერიოდის საერთაშორისო სტანდარტების ფონზე.

ადგილობრივი და ევროპული სამართლებრივი სტანდარტები

ევროპული სტანდარტების მიხედვით, ბავშვთან სამართალდამცავი ორგანოს ურთიერთობა ბავშვის მიმართ პოტენციურ საფრთხედ არის მიჩნეული - მაღალია საშიშროება, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდეს რაიმე გიჟის არამართლმომიერ ზემოქმედებას. სწორედ ამ საფრთხის განეიგრალების მიზნით, რეკომენდირებულია ბავშვსა და პოლიციელს (ნებისმიერ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს) შორის კომუნიკაცია - დაკითხვა, გამოკითხვა, ნებისმიერი ინტერვიუ აუდიო-ვიდეო ჩანაწერით დაფიქსირდეს. აუდიო-ვიდეო ჩანაწერი ერთი მხრივ ხელს უწყობს ბავშვის დაცვას ზეწოლისგან, მეორე მხრივ კი უზრუნველყოფს მსგავსი ფაქტების გამოვლენას მისი არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, მას როგორც პრევენციული, ისე - რეაქციული დაგვირთვა აქვს.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის აუდიოვიდეო ჩაწერა თავად პოლიციელის პროცედურულ დაცვასაც ემსახურება, რადმუნადაც მის მიმართ ეჭვების არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ჩანაწერებით გაცილებით მარტივია სიმართლის დადგენა და მის მიმართ ყოველგვარი ბრალდებების სამართლიანი მოხსნა.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვნის გამოკითხვა შესაძლებელია განხორციელდეს აუდიო-ვიდეო ჩანაწერით, თუმცა არ არის სავალდებულო. მისი გამოყენება დამოკიდებულია პროცესის მწარმოებელზე და პრიორიტეტულ მეთოდად არ განიხილება². საგულისხმოა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არც კი არის მოცემული აუდიო-ვიდეოჩანაწერის შესახებ კონკრეტული რეგულაცია, არამედ აღნიშნული საკითხი სრულად რეფერირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან³.

როდესაც გადავხედავთ ევროპულ სტანდარტებს და სხვა ქვეყნების კანონმდებლობას, ცხადი ხდება, თუ რა მნიშვნელოვანია აღნიშნული მექანიზმის პრიორიტეტული გამოყენება. ბავშვის გამოკითხვა აუდიო-ვიდეო ფიქსირების გარეშე მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებშია შესაძლებელი. ქართული კანონმდებლობით კი, პირიქით - მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევად არის გათვალისწინებული აუდიო-ვიდეო ჩაწერა და ეს საკითხი სრულწლოვანი პირებისგან განსხვავებული წესებით არ რეგულირდება, არამედ, მრდასრული პირების მიმართ დადგენილი გამოკითხვის წესებშია გაერთიანებული⁴.

ევროკავშირის 2016 წლის 11 მაისის დირექტივა, რომელიც ეხება სისხლის სამართალწარმოებაში ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა პროცედურული დაცვის მექანიზმებს⁵, ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა პრიორიტეტულად უნდა უზრუნველყონ ბავშვის პოლიციელის მიერ ინტერვიუს აუდიო-ვიდეო ჩაწერა, სადაც ეს საქმის გარემოებებისთვის პროპორციულია, იმის გათვალისწინებით, გამოკითხვას ესწრება თუ არა ადვოკატი, ბავშვს თავისუფლება აღკვეთილი აქვს თუ არა და არის თუ არა უპირობოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესი ყოველთვის პრიორიტეტულად მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დირექტივასთან შესაბამისობაში უნდა მოსულიყო წევრი ქვეყნების კანონმდებლობები მიმდინარე წლის ივნისისთვის⁷.

ევროკავშირის დირექტივა საქართველოს მიმართ არ არის სავალდებულო. მიუხედავად ამისა, იგი, პრაქტიკულად, შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც კონკრეტული შინაარსი და დაზუსტება იმისა, თუ რა მიმართულებით უნდა გაგრძელდეს ბავშვთა მიმართ სამართლებრივი რეფორმა და გაძლიერდეს დამარალებულთა საპროცესო გარანტიები, როგორც ეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2017-2010 წლების სამოქმედო გეგმაშია მოცემული, როგორც 2020 წლამდე აღებული საქართველოს ვალდებულება .

ჯერ კიდევ ზემოაღნიშნული დირექტივის მიღებამდე ცალკეულ ქვეყნებში არასრულწლოვნის და ზოგიერთ შემთხვევაში სრულწლოვნის გამოკითხვის აუდიო-ვიდეო ფიქსირება უკვე დღია ხანია,

¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლები

² Id

³ Id.

⁴ Id.

⁵ Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016 on procedural safeguards for children who are suspects or accused persons in criminal proceedings

⁶ Id. Art. 9

⁷ Id. Art.24

⁸ ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2017-2010 წლების სამოქმედო გეგმა,

<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/78447/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text>, გვ.15, 21, ნანახია 12.24.2019.

სავალდებულოა. მაგალითად, საფრანგეთში ჯერ კიდევ 2000 წლიდან სავალდებულოა არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის აუდიო-ვიდეო გამოკითხვა; სრულწლოვნების მიმართ კი - 2007 წლიდან⁹. ნათქვამია, რომ 40 წლის წინ წამება საფრანგეთის პოლიციაში ხშირი იყო, მაგრამ აუდიო-ვიდეო გამოკითხვების წესმა შეცვალა პრაქტიკა¹⁰. მაშინ, როდესაც არაოფიციალური გამოკითხვები კვლავ ხდება პოლიციის სისგემაში დაკავებულების მიმართ, აუდიო-ვიდეო ჩანაწერების სავალდებულობა კვლავ სასარგებლოა, რამდენადაც ის ხელს უწყობს არაოფიციალური გამოკითხვების გამოაშკარავებას, კერძოდ, ვიდეო-აუდიო ჩაწერა აჩვენებს ძალადობის კვალს და მიანიშნებს წინარე არაოფიციალურ კონტაქტზე პოლიციასა და გამოკითხულს შორის¹¹.

ლატვიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში¹² 2016 წელს ცვლილება შევიდა (152-ე მუხლი), რომლითაც 2019 წლის პირველი იანვრიდან სავალდებულო გახდა არასრულწლოვანთა გამოკითხვის ვიდეო და აუდიო ჩაწერა.

საინტერესო რეგულაცია აქვს ბულგარეთს: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის¹³ 236-240 მუხლები საგამოძიებო ორგანოს ავალდებულებს უზრუნველყოს გამოკითხვის აუდიო ან ვიდეო ჩაწერა, თუ ამას გამოსაკითხი პირი მოითხოვს. აგრეთვე, შესაძლოა საგამოძიებო ორგანომ აუდიო ან ვიდეო ჩაწერა განახორციელოს მისი ინიციატივით¹⁴. ჩვენი კანონმდებლობით, ასეთი მოთხოვნის შესრულების ვალდებულება პროცესის მწარმოებელს არ აქვს.

დიდ ბრიტანეთში გაერთიანებულ სამეფოში, გამოკითხვის ჩაგარების ზოგადი წესი არის აუდიო, ხოლო პოლიციის განყოფილებაში ვიზუალური ჩანაწერის გაკეთება სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით საქმეებზე სავალდებულოა. ზოგადი წესი ეხება, როგორც არასრულწლოვან, აგრეთვე სრულწლოვან პირებს¹⁵.

უნგრეთში 2018 წლის ივლისიდან სავალდებულოა ყველა არასრულწლოვან აუდიოვიდეო გამოკითხვა შემოსენებული 2016 წლის ევროკავშირის ღირებულების საფუძველზე¹⁶.

ხორვატიაში სავალდებულოა ყველა პირის გამოკითხვა, მიუხედავად მათი ასაკისა და დანაშაულისა¹⁷.

⁹ 2018 წლის 9 ნოემბრის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის, ჰელსინკის ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და სამართლიანი სასამართლოს (Helsinki Human Rights Committee and Fair Trial) მიერ ორგანიზებული შეხვედრა გამოცდილების გამოარების შესახებ, სისხლის სამართალწარმებაში აუდიო-ვიზუალური დაკითხვის წესებთან დაკავშირებით; ნანახია 19.12.2019
<<https://fairtrials.org/sites/default/files/ProCam%20Experience%20Sharing%20Meeting%20Report.pdf>>

¹⁰ Id.

¹¹ Id.

¹² ხელმისაწვდომია <https://www.legislationline.org/download/id/8267/file/Latvia_CPC_2005_am2018_en.pdf> ნანახია 19.12.2019

¹³ ხელმისაწვდომია <https://www.legislationline.org/download/id/4152/file/PENAL_PROCEDURE_CODE_am2011_en.pdf> ნანახია 19.12.2019

¹⁴ Id.

¹⁵ პოლიციისა და სისხლის სამართლის საქმის მგვიცხვებულებათა შესახებ აქტი, ხელმისაწვდომია

<<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1984/60/contents>> ნანახია 19.12.2019;

<https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/757585/BAGT-Interviewing-suspects-v4.0ext_archive.pdf> ნანახია 19.12.2019

¹⁶ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის, სამართლიანი სასამართლოს 2018-2019 წლის ანგარიში:

მართმსაჯულება ევროპაში, გვ. 20

¹⁷ Id.

იგალიაში, აუდიოვიდეო გამოკითხვა სავალდებულოა მათ შორის, პოლიციის იზოლაცორებსა და საპატიმროებში. მაშინაც კი, როდესაც პიროვნება არ არის დაპატიმრებული. აუდიოვიდეო გამოკითხვა სავალდებულოა მოწყვლადი დაზარალებულებისთვის, მათ შორის არასრულწლოვნებისთვის და მენცალური პრობლემების მქონე პირებისთვის¹⁸.

კანადაში, იმ საქმეში, სადაც დაზარალებულად ან მოწმედ ფიგურირებს არასრულწლოვანი, სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს მისი გამოკითხვა ვიდეო ჩაწერით დანაშაულის ჩადენიდან უმოკლეს ვადაში¹⁹.

საკანონმდებლო წინადადების შინაარსი

- მომზადდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შესატანი და შესაბამის კანონმდებლობაში, საჭიროების შემთხვევაში, გამომდინარე ცვლილებები, რომლითაც სავალდებულო გახდება არასრულწლოვანთან ნებისმიერი კომუნიკაციის აუდიოვიდეო ჩაწერა პოლიციელის, პროკურორის ან სხვა ნებისმიერი სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან;
- საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობის შედეგად შემუშავდეს გეგმა საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების დროისა და მასშტაბის მიხედვით, მათ შორის, განისაზღვროს ეტაპები, ქვეყნის ტერიტორიული ამოქმედების შესახებ;
- განხორციელდეს ამ ცვლილების ამოქმედებისათვის საჭირო ფინანსური ხარჯების გამოთვლა და მისი ასახვა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში;
- საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე დაიწყოს ამ ცვლილებათა პილოტურ რეჟიმში ამოქმედება ლოკალურად ქვეყნის კონკრეტულ ტერიტორიებზე.

დანართი: სისხლის სამართალწარმებაში აუდიო-ვიზუალური დაკითხვის წესებთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარების შესახებ 2018 წლის 9 ნოემბრის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის, ჰელსინკის ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და სამართლიანი სასამართლოს (Helsinki Human Rights Committee and Fair Trial) მიერ ორგანიზებული შეხვედრის ოქმი (ღია წყაროდან მიღებული საჯარო დოკუმენტი, 18 გვერდი)

¹⁸ Id.

¹⁹ კანადის სისხლის სამართლის კოდექსი, ხელმისაწვდომია,

<https://www.legislationline.org/download/id/8432/file/Canada_Criminal_code_1985_am092019_en.pdf> ნანახია 19.12.2019